

ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

კონსტანტინე კორკელია*

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია (1950 წ.) პირდაპირ არ მოიხსენიებს ტერმინს „ექსტრადიცია“, ევროპული სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკით ჩამოყალიბდა რიგი წესებისა ექსტრადიციასთან დაკავშირებით. საქართველომ, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მონაწილე გახდა 1999 წლის 20 მაისს, უნდა გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მას შეუსაბამოს ეროვნული პრაქტიკა.

ექსტრადიციასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განვითარების საფუძველია ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.“ მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ კრძალავს ექსტრადიციას, იგი ადგენს რიგ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ექსტრადიციის შემთხვევაში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში იკრძალება, თუ ექსტრადიციის შედეგად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები ექსტრადიციასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია განვიხილოთ კონკრეტული სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.¹ ზოერინგმა, რომელიც გერმანიის მოქალაქე იყო, 1985 წლის 30 მარტს ჩაიდინა თავისი მეგობარი გოგონას მშობლების მკვლელობა ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატში და მიიმალა. ზოერინგი და მისი მეგობარი გოგონა დაკავებულ იქნენ ინგლისში. ზოერინგის დაკავების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოითხოვა მისი ექსტრადიცია ამ სახელმწიფოებს შორის მოქმედი ხელშეკრულების თანახმად. სირთულეები ექსტრადიციის მიმართ წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოერინგს, როგორც დანაშაულის მთავარ შემსრულებელს, ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა აშშ-ში, ინგლისში კი სასჯელის ეს ფორმა გაუქმებული იყო. 1987 წელს მკვლელობის თანამონაწილე — მოკლულთა ქალიშვილი გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 90 წლით (45 წელი თითოეულ მსხვერპლზე).²

ზოერინგმა შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში,³ რომელშიც ამტკიცებდა, რომ იყო დიდი ალბათობა მის მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა, აშშ-სათვის მისი გადაცემის შემთხვევაში. მან ასევე აღნიშნა, რომ გადაცემის შემთხვევაში იგი განიცდიდა „სიკვდილისფილთა საკნის სინდრომს“, რის გამოც იგი დაექვემდებარებოდა არაადამიანურ და

* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

¹ 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, No. 161.

² Lillich, Towards the Harmonisation of International Human Rights Law, in: Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 466.

³ ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმამდე (1998 წელი) განაცხადის დასამუშავებას იხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, რომელიც იღებდა ინდივიდუალურ განაცხადებს.

დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას, რაც იკრძალება ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით. „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომი“ განიმარტება, როგორც გარემოებათა ერთობლიობა, რომელშიც აღმოჩნდებოდა განმცხადებელი სიკვდილით დასჯის მოლოდინში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მისი ვირჯინიის შტატისათვის გადაცემის შემთხვევაში, სადაც იგი უნდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე დამამცირებელ გარემოებაში მკვლელობის ბრალდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ზოერიანი არ მოითხოვდა ექსტრადიციის ბრძანების გაუქმებას იმიზეზით, რომ მის მიმართ შეიძლება გამოტანილი ყოფილიყო სასიკვდილო განაჩენი, რადგან ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით სიკვდილით დასჯა არ განიხილება ნამებად ან არაადამიანურ მოპყრობად. იგი მოითხოვდა ექსტრადიციის ბრძანების გაუქმებას იმიზეზით, რომ, თუ მის მიმართ გამოტანილი იქნებოდა სასიკვდილო განაჩენი, რომლის აღსრულებას ვირჯინიის შტატში დიდი დრო დასჭირდებოდა, იგი განიცდიდა „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომს“, რითიც დაექვემდებარებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას, რაც იკრძალება ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით.

მოპასუხე, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ დააკისროს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ მოქმედებისათვის, რომელიც ხდება მისი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დააზუსტა, რომ ექსტრადიცია არ იწვევს პირის გამცემი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისათვის, რომელსაც ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს გამცემი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

“პასუხგასაცემია კითხვა, იწვევს თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პირის ექსტრადიციაზე სხვა სახელმწიფოში, სადაც იგი გახდება ან შეიძლება გახდეს ნამების, ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. [...] საეჭვოა, რომ კონვენციის ძირითად ფასეულობებს, საკუთრივ „პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობას“, რომელზეც უთითებს კონვენციის პრეამბულა, შეესატყვისებოდეს ის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გადასცენ პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს ნამებს, როგორც სასტიკი არ უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ასეთ გარემოებაში ექსტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე პირდაპირ არ არის მითითებული მე-3 მუხლის მოკლე და ზოგად ფორმულირებაში, ამკარად წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მუხლის სულისკვეთებასა და შინაარსთან და, სასამართლოს აზრით, ეს ნაგულისხმევი ვალდებულება გადაცემისაგან თავის შეკავების შესახებ ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი იმ სახელმწიფოში, რომელსაც გადაეცემა, აღმოჩნდება რეალური რისკის წინაშე, გახდეს მოცემული მუხლით აკრძალული არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი”.⁴

ევროპული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოს) ეკრძალებათ პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს ნამებს ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან დასჯას.⁵

აქვე გასათვალისწინებელია საქართველოს კანონმდებლობა ექსტრადიციასთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 (3) მუხლით, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლი-

⁴ 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, No. 161.

⁵ *Frowein*, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: *Collected Courses of the Academy of European Law*, 1990, vol. I(2) 1992, 316-317; ასევე იხ. *O'Boyle*, Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case, in: *Human Rights and Constitutional Law, Essays in Honour of Brian Walsh, O'Reilly* (Ed.), 1992, 93.

ტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დანესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს”.

ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, „დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება გადაეცინენ სხვა სახელმწიფოს”. ეს დებულება პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი გადაცემა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილით და ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პირის ექტრადიციზე უარის თქმის განსხვავებულ საფუძვლებს. ევროპული სასამართლოს განხილული პრეცედენტისაგან განსხვავებით, კოდექსის ხსენებული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ იკრძალება პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან დასჯას.

ამიტომ, აუცილებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლის გამოყენებისას მხედველობაში იქნას მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი და ამ მუხლზე არსებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელთა საფუძველზეც უნდა განიმარტოს სისხლის სამართლის კოდექსი.